

შპს „გრინსერვისი +“-ის

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3-4
ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5-7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-15

სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი
ნეტო ამონაგები		4,121,759	25,164,756
საქონლის გაყიდვიდან		-	-
მომსახურების გაწევიდან	3	4,121,759	25,164,756
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(813,759)	(2,386,318)
საწყისი მარაგები		1,447,145	1,691,020
მარაგების შესყიდვა		1,004,104	2,142,443
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		(1,637,490)	(1,447,145)
საერთო მოგება		3,307,676	22,778,438
სხვა შემოსავალი		262,766	421,721
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(1,205,431)	(2,202,827)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(92,527)	((119,593)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი (-)		(364,494)	(307,135)
იჯარის ხარჯი (-)		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(3,322,345)	(19,613,934)
სულ საოპერაციო ხარჯები		(4,984,797)	(21,821,768)
საოპერაციო მოგება		(1,414,355)	956,670
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები (-)		-	-
მარაგები (-)		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		-	-
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-	-
მოგების გადასახადი (-)		-	-

მოგება/(ზარალი)	(1,414,355)	956,670
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1,414,355)	956,670
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	5,282,453	6,920,210
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(185,757)	(2,594,427)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,682,341	5,282,453

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-24	31-12-23
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	177,028	1,634,619
სავაჭრო მოთხოვნები	6	2,738,122	4,701,930
გადახდილი ავანსები			
მარაგები		1,637,490	1,447,145
მზა პროდუქცია		-	-
სხვა		1,637,490	1,447,145
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-
ძირითადი საშუალებები	7	379,510	489,433
ინვესტიციები კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	8	319,000	319,000
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		5,251,150	8,592,127
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები		1,548,118	3,278,413
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9 20,691	31,261
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	1,568,809	3,309,674
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3,629,661	5,229,773
გადაფასების რეზერვი	52,680	52,680
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	3,629,661	5,282,453
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,250,150	8,592,127

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,447,459)	(5,200,796)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(6,595)	359,755
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(4,841,041)	(4,841,041)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(3,537)	(14,282)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,634,619	6,489,942
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	177,028	1,634,619

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრინსერვისი +“ (ს/ნ 406030370) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2010 წელის 24 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, დიდი ლილო. შპს „გრინსერვისი +“-ს მესაკუთრეები არიან: 1) კობა ხარშილაძე (პ/ნ 01001017884) 33 %; 2) ლაშა ფურცხვანიძე (პ/ნ 01009011214) 33%; 3) ტარიელ კიკნაძე (პ/ნ 57001002936) 34%. კომპანიის დირექტორი კობა ხარშილაძე (პ/ნ 01001017884). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მშენებლობა და ნერგების და ჩითილების წარმოება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებაზე შემცირებული მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	15%
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში და ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	<u>4,121,435</u>	<u>25,164,756</u>

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
ქონების გადასახადის ხარჯი	4,473	5,442
დაზღვევის ხარჯი	-	4,211
ბანკის საკომისიოს ხარჯი	2,717	20,384
სატენდერო მოსაკრებელი	0	200
სხვა ხარჯი	161,842	139,094
კომუნალური ხარჯი	1,134	1,708
კომუნიკაციის ხარჯი	-	5,447
მივლინების ხარჯი	16,491	21,283
ავტოტექნომსახურების ხარჯი	5,066	29,616
სოციალური დანარიცხები	10,574	24,177
დარიცხული ჯარიმა	2,500	345,421
საიჯარო ხარჯი	39,555	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	29,247
ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯი	3,077,993	18,987,704
	<u>3,322,345</u>	<u>19,613,934</u>

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	167,293	1,593,527
ეროვნული ვალუტა საღაროში	9,735	41,092
	<u>177,028</u>	<u>1,634,619</u>

6. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები	2,738,122	4,701,930
	<u>2,738,122</u>	<u>4,701,930</u>

7. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	75,702	812,973	140,720	1,029,394
შემოსვლები	0	0	389	10,750	11,139
გადაფასება	0	0	0	0	0
გასვლები	0	0	83,832	3,187	87,010
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	75,702	729,530	148,292	953,524
ცვეთა					
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	38,250	411,485	90,226	539,961
ცვეთის დანარიცხი	0	5,618	19,141	9,294	34,053
გასვლები	0	0	0	0	0
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	43,868	430,626	99,520	574,014
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	37,452	401,487	50,494	489,433
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	31,834	298,904	48,772	379,510

8. გრძელვადიანი ინვესტიციები

კოოპერატივ “ქართულ ნერგები“-ში (ს/კ 406268328) ინვესტირებული 319,000.00 ლარი, შედგება 83,000.00 ლარის ღირებულების მიწისგან და 219,000.00 ლარის ფულადი შენატანისგან.


9. საგადასახადო ვალდებულებები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
ხაზინის ერთიანი ანგარიში	(748)	17,000
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	91
გადასახდელი დღგ	9,516	55,667
მიღებულ ავანსებზე გადახილი/გადასახდელი დღგ	(84)	(270,296)
გაცემულ ავანსის თანხებზე მიღებული დღგ-ს	12,793	214,880
ჩათვლა		
ქონების გადასახადი	(1,089)	355
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
საპენსიო გადასახადი	303	13,564
	<u>20,681</u>	<u>31,261</u>

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 15 სექტემბერს.

შპს „გრინსერვისი +“-ს

დირექტორი:  /კ.ხარშილაძე/

